

სოციალურ-ეკონომიკურ მცენიერებათა სამართაშორისო აკადემია  
პოლიტიკური მენეჯმენტის სამართაშორისო აკადემია  
იურიდიულ მცენიერებათა სამართაშორისო აკადემია

INTERNATIONAL ACADEMY OF SOCIAL-ECONOMIC SCIENCES  
INTERNATIONAL ACADEMY OF POLITICAL MANAGEMENT  
INTERNATIONAL ACADEMY OF JURIDICAL SCIENCES

МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ НАУК  
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ПОЛИТИЧЕСКОГО МЕНЕДЖМЕНТА  
МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ ЮРИДИЧЕСКИХ НАУК

# სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის პრობლემები

*XXXIV სამართაშორისო სამეცნიერო  
კონფერენციის მასალები*

## PROBLEMS OF EFFECTIVE MANAGEMENT OF STATE

*MATERIALS OF XXXIV INTERNATIONAL  
SCIENTIFIC CONFERENCE*

## ПРОБЛЕМЫ ЭФФЕКТИВНОГО УПРАВЛЕНИЯ ГОСУДАРСТВОМ

*МАТЕРИАЛЫ XXXIV МЕЖДУНАРОДНОЙ  
НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ*

(09.11.2020)

თბილისი  
Tbilisi Тбилиси  
2020

უპკ (UDC; УДК) 1+32+33+34+35  
ს-366 P-93 II-781

**სახელმწიფოს მუშაობის მართვის პრობლემები.**  
**XXXIV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები** (09.11.2020).  
თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2020. – 92 გვ.

**PROBLEMS OF EFFECTIVE MANAGEMENT OF STATE.**  
**MATERIALS OF XXXIV INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE** (09.11.2020).  
Tbilisi: International Publishing House “Progress”, 2020. – 92 p.

**ПРОБЛЕМЫ ЭФФЕКТИВНОГО УПРАВЛЕНИЯ ГОСУДАРСТВОМ.**  
**МАТЕРИАЛЫ XXXIV МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНОЙ КОНФЕРЕНЦИИ** (09.11.2020).  
Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2020. – 92 с.

**კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:**

ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – თავმჯდომარე  
ირაკლი გაბისონია (თბილისი, საქართველო) – თანათავმჯდომარე  
ანზორ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო) – თანათავმჯდომარე  
ედუარდ კორიტსკი (ჰამბურგი, გერმანია) – წევრი  
სლავომირ პარტიცკი (ლუბლინი, პოლონეთი) – წევრი

**ORGANIZATION COMMITTEE OF THE CONFERENCE:**

ALFRED KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – CHAIRMAN  
IRAKLI GABISONIA (TBILISI, GEORGIA) – CO-CHAIRMAN  
ANZOR KURATASHVILI (TBILISI, GEORGIA) – CO-CHAIRMAN  
EDUARD KORITSKY (HAMBURG, GERMANY) – MEMBER  
SLAWOMIR PARTYCKI (LUBLIN, POLAND) – MEMBER

**ОРГАНИЗАЦИОННЫЙ КОМИТЕТ КОНФЕРЕНЦИИ:**

АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – ПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА  
ИРАКЛИЙ ГАБИСОНИЯ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – СОПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА  
АНЗОР КУРАТАШВИЛИ (ТБИЛИСИ, ГРУЗИЯ) – СОПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИТЕТА  
ЭДУАРД КОРИЦКИЙ (ГАМБУРГ, ГЕРМАНИЯ) – ЧЛЕН КОМИТЕТА  
СЛАВОМИР ПАРТЫЦКИЙ (ЛЮБЛИН, ПОЛЬША) – ЧЛЕН КОМИТЕТА

**სამეცნიერო რედაქტორი – ალფრედ კურატაშვილი**  
**SCIENTIFIC EDITER – ALFRED KURATASHVILI**  
**НАУЧНЫЙ РЕДАКТОР – АЛЬФРЕД КУРАТАШВИЛИ**

**რეცენზენტები:**

მიხეილ როკეტლიშვილი (ნიუ-იორკი, აშშ) – მეცნ. დოქტორი, პროფ., აკადემიკოსი  
ოქსანა სოლდატენკო (კიევი, უკრაინა) – მეცნ. დოქტორი, პროფ., აკადემიკოსი

**REVIEWERS:**

MIKHAIL ROKETLISHVILI (NEW YORK, USA) – DOCTOR OF SC., PROFESSOR, ACADEMICIAN  
OKSANA SOLDATENKO (KIEV, UKRAINE) – DOKTOR OF SC., PROF., ACADEMICIAN

**РЕЦЕНЗЕНТЫ:**

МИХАИЛ РОКЕТЛИШВИЛИ (НЬЮ-ЙОРК, США) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК  
ОКСАНА СОЛДАТЕНКО (КИЕВ, УКРАИНА) – ДОКТОР НАУК, ПРОФЕССОР, АКАДЕМИК

© ალფრედ ანზორის ძე კურატაშვილი, 2020  
ALFRED A. KURATASHVILI, 2020  
АЛЬФРЕД АНЗОРОВИЧ КУРАТАШВИЛИ, 2020

ISBN 978-9941-9454-9-6

შაკ 1+32+33+34+35

**ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)**

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტა ფედერაციის წევრი

**უმაღლესი განათლების სისტემაში  
პროფესორის აკადემიური თანამდებობის  
დასაკავებლად კონკურსში  
მონაწილეობისათვის კანონის მოთხოვნებში  
მეცნიერებათა დოქტორის  
სამეცნიერო ხარისხის არარსებობა  
და ფაქტობრივად მეცნიერებათა დოქტორის  
სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა  
კანონსაწინააღმდეგოდ ”გათანაბრება“  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე  
პირებთან და მეცნიერებათა კანდიდატებთან –  
დანაშაულებრივი ქმედებაა (!)**

ნუთუ სახელმწიფოს კანონმდებლები  
და განსაკუთრებით იურისტები  
”ვერ აცნობიერებენ”, რომ ადგილი აქვს  
დანაშაულებრივად ”დაკანონებულ” დისკრიმინაციულ ქმედებას,  
რითაც აშკარად ილახება  
მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის  
მქონე პირთა კანონიერი უფლებები (!)

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში კანონსაწინააღმდეგოდ შექმნილ ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, საგანგაშოა ის ფაქტი, რომ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი საერთოდ არ ფიგურირებს ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნებში, ანუ იმ მოთხოვნებში, რომლებიც ”კანონით” აუცილებლად არის მიჩნეული კონკურსში მონაწილეობისათვის პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (!) [1, მუხლი 35, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი ”ა”].

ამასთან, კონკურსში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მონაწილეობის და ამ თანამდებობის დაკავების უპირატესი უფლება უნდა ჰქონდეს სწორედ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის და პროფესორის სამეცნიერო წოდების მქონე პირს, რომელიც უნდა იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი, *მაშინ როდესაც იშვიათი გამონაკლისის გარდა*, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების და მეცნიერებათა კანდიდატების დონის შესაფერისი და შესაბამისი უმაღლესი თანამდებობა – ეს არის ასოცირებული პროფესორი, ანუ ძველი სისტემით – დოცენტი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის და პროფესორის სამეცნიერო წოდების მქონე პირთა მიმართ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით კანონსაწინააღმდეგოდ "დაკანონებული" დისკრიმინაციის შედეგად, ხშირ შემთხვევაში "ადვილი აქვს განუკითხაობას" უმაღლესი განათლების სფეროში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსების ჩატარებასთან დაკავშირებით (?!).

კერძოდ, ცალკეულ – ზოგიერთ – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში "კონკურსების" ჩატარების შედეგად პროფესორის აკადემიურ თანამდებობებს ხშირად და უპირატესად იკავებენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე და/ან მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე ის პირები, რომლებსაც არავითარი საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი არა აქვთ შეტანილი მეცნიერების განვითარებაში, რის გამოც ისინი ჭეშმარიტი მეცნიერები არ არიან, მაგრამ კონკურსების ორგანიზატორებს ეს სულაც "არ ადარდებთ", *მით უმეტეს*, როდესაც ისინი თვითონაც არ არიან ჭეშმარიტი მეცნიერები და თაღლითური გზით აქვთ "მოპოვებული" თანამდებობები (?!).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ის უდავოდ არის ჭეშმარიტი მეცნიერი, ისევე, როგორც დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე და/ან მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ის არ არის ჭეშმარიტი მეცნიერი, რამეთუ, როგორც მე *ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ* აღვნიშნავდი:

"ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ჭეშმარიტი მეცნიერება – ეს არის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კომპოზიცია (*პრინციპულად ახლის ქმნალობა*) მეცნიერების სფეროში, და არა სხვების მიერ შექმნილი ნაწარმოებების მექანიკური შესრულება.

ამრიგად, ჭეშმარიტი მეცნიერება არის საერთაშორისო მნიშვნელობის თვისებრივად ახალი მეცნიერული მიმართულებების, თვისებრივად ახალი მეცნიერული თეორიების და ა.შ. შექმნა, და არა სხვების მიერ შექმნილი მეცნიერული სიახლეების გადმოწერა, თუთიყუშით გამეორება და თუნდაც მათი ციტირება და მათზე სხვადასხვა კომენტარების გაკეთება, საკუთარი – *მსოფლიო მნიშვნელობის* – მეცნიერული იდეების არსებობისა და მათი სათანადოდ დაფიქსირების გარეშე.

თუმცა ეს რომ ადამიანს კარგად ესმოდეს, თვითონ უნდა იყოს ჭეშმარიტი მეცნიერი, *ხოლო თუ ის ჭეშმარიტი მეცნიერი არ არის, იმის გონება და ადამიანობა მაინც უნდა გააჩნდეს, რომ სხვისი მეცნიერული შემოქმედების შედეგები გაიგოს და თუ ვერ შეაფასებს, დააფასოს მაინც*” [2, გვ. 52-53].

”მაშასადამე, მეცნიერების სფეროს წარმომადგენელთა ჩემს მიერ შექმნილი კლასიფიკაციის შესაბამისად, აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ:

2.1. ჭეშმარიტი მეცნიერები – *მეცნიერებაში ახალი მეცნიერული მიმართულებების, ახალი მეცნიერული თეორიების და ა.შ. შემქმნელები, ე.ი. ჭეშმარიტად მეცნიერული მოღვაწეები.*

2.2. მეცნიერების მუშაკები, რომლებიც დაკავებულები არიან დამხმარე სამუშაოებით მეცნიერებაში, *რომლებიც თავისი შრომით ეხმარებიან ჭეშმარიტ მეცნიერებს და ამით ხელს უწყობენ მეცნიერების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებას.*

*თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც რჩებიან მხილოდ მუშაკებად მეცნიერებაში, ე.ი. ისინი არ არიან მეცნიერები*” [3, გვ. 16].

ამრიგად, მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერები *”იმსახურებენ რომ იყვნენ და მხოლოდ ისინი უნდა იყვნენ პროფესორები, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო საბჭოების თავმჯდომარეები და დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები*” [4, გვ. 11].

ხოლო რაც შეეხება მეცნიერების მუშაკებს, *”რომლებიც არ არიან საერთაშორისო დონის ახალი მეცნიერული იდეების შემქმნელები, მაგრამ თავისი პატიოსანი შრომით ხელს უწყობენ როგორც ჭეშმარიტ მეცნიერთა მოღვაწეობას, ისე სტუდენტთა აღზრდას, რის გამოც (იმ პირობებში, როდესაც ჭეშმარიტი მეცნიერი, გულწრფელად თუ ვიტყვით, “სანთლით საძებარია”) მათ შეიძლება ეკავოთ ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის თანამდებობები, და შეიძლება ასწავლიდნენ ბაკალავრიატში, ხოლო მათთვის უკეთეს შემთხვევაში – აგრეთვე მაგისტრატურაში*” [4, გვ. 11].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში შექმნილია საგანგაშო სიტუაცია, როდესაც ვერ გაურჩევიათ და არც აინტერესებთ, თუ ვინ არის მეცნიერი და ვინ არა, და როდესაც ჭეშმარიტ მეცნიერთათვის განკუთვნილ თანამდებობებს არცთუ იშვიათად არამეცნიერები თაღლითურად *”ეუფლებიან”*, ბუნებრივად გახსენდება ძველი ქართული ანდაზა:

*”ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო”* (?!).

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხატოვნად თუ ვიტყვით – *”ბედაურები”* კი არ *”დაიხოცნენ”*, არამედ *”ბედაურებს”* ვერ ამჩნევენ (უფრო ზუსტად კი, არ აწყობთ და არ უნდათ, რომ *”ბედაურები”* *”შეამჩნიონ”*, რის გამოც ხდება *”ბედაურების”* უგულებელყოფა) და *”ვირებს”* *”ბედაურებად”* აცხადებენ” (?!).

აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროს ყველა წარმომადგენელი, *ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანი*, რომელიც გამოირჩევა პატიოსნებით, და რომელიც არ ცდილობს უსამართლოდ – თაღლითურად – მისთვის შეუფერებელი თანამდებობის დაუმსახურებლად დაკავებას, უდავო პატივისცემას იმსახურებს!!!

ამასთანავე, ზემოთ მოყვანილ ქართულ ანდაზასთან დაკავშირებით, უდავოდ გასათვალისწინებელია, რომ თუმცა ცხადია, რომ "ბედაური" – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი არ არის, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი – "ვირი" არ არის, მაგრამ ისევე, როგორც "ვირი" – "ბედაური" არ არის, და ისევე, როგორც სპორტის ოსტატობის კანდიდატი – სპორტის დამსახურებული ოსტატი არ არის, დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მასთან კანონით გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი არ არის (?!).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირსა და დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მასთან კანონით გათანაბრებულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირს შორის იურიდიული განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

თუ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი – დე-იურე არის მეცნიერი (თუმცა დე-ფაქტო ჭეშმარიტი მეცნიერი არის ის, რომელსაც შეტანილი აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი მეცნიერების განვითარებაში, რაც ძალიან იშვიათია), დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მასთან კანონით გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი – დე-იურე მეცნიერი არ არის, რადგან ის მხოლოდ მეცნიერებათა კანდიდატია, ანუ კანდიდატია, რომელიც მომავალში შეიძლება გახდეს ან ვერ გახდეს მეცნიერი.

*თუმცა დე-ფაქტო* დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მასთან კანონით გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი შეიძლება იყოს *ჭეშმარიტი მეცნიერი*, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არის *ჭეშმარიტი შემოქმედი* – თუ მას შექმნილი აქვს პრინციპული მნიშვნელობის მქონე მეცნიერული სიახლეები, რითაც შეტანილი აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი მეცნიერების განვითარებაში.

მხოლოდ ასეთ გამონაკლის შემთხვევაში, დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მასთან კანონით გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი შეიძლება იყოს *ჭეშმარიტი მეცნიერი*, და მას შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა *მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე იმ პირებთან, რომლებიც დე-ფაქტო ჭეშმარიტი მეცნიერები არ არიან*.

ამასთან, ხაზგასმით უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ საერთოდ მეცნიერების სფეროში – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი წარმოადგენს თვისებრივად განსხვავებულ ბევრად უფრო მაღალ დონეს, ვიდრე დოქტორის აკადემიური ხარისხი და/ან მასთან კანონით გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არა მარტო სრულიად გაუძარტლებელია, არამედ აშკარად დანაშაულებრივი ქმედებაა – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა კანონსაწინააღმდეგოდ ”დაკანონებული” დისკრიმინაცია, მათი კანონმდებლობაში ”არარსებობა” – მათი ეგრეთ წოდებული ”ჩარეცხვა”, თითქოსდა ”უკეთეს შემთხვევაში” მათი კანონსაწინააღმდეგოდ ”ჩამოქვეითება” დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მასთან კანონით გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა დონეზე, აშკარად დანაშაულებრივი ქმედებაა – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა კანონსაწინააღმდეგოდ ”უგულებელყოფა” (?!).

სწორედ აღნიშნული კრიმინალური ვითარებით არის განპირობებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსებში არცთუ იშვიათად ზოგიერთი – *მეცნიერების სფეროში პრიმიტიული* – დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მასთან კანონით გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირების გაბატონება და მათი ”პროფესორებად” არჩევა, რაც არა მარტო ჭეშმარიტ მეცნიერთა და მეცნიერების სფეროს დაცინვას წარმოადგენს, არამედ რაც ამავე დროს არის სამშობლოს – ხალხის ინტერესების – ლალატი და ძირგამომთხრელი დანაშაულებრივი ქმედება სახელმწიფოსა და კაცობრიობის წინააღმდეგ (?!).

\* \* \*

რაც შეეხება უშუალოდ კანონსაწინააღმდეგოდ ”დაკანონებულ” ისევ იმ ფაქტს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნებში საერთოდ არ ფიგურირებს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რაც მეცნიერების სფეროს უდავო დაცინვას და მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა აშკარა დისკრიმინაციას წარმოადგენს, მთელი კატეგორიულობით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ თუ ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ვიმსჯელებთ და აღნიშნული კანონით ვიხელმძღვანელებთ, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირს უფლება არა აქვს, რომ მონაწილეობა მიიღოს კონკურსში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, რაც უდავოდ წარმოადგენს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა დისკრიმინაციას (?!).

კერძოდ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, პროფესორის თანამდებობაზე "... შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ..." [1, მუხლი 35, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი "ა"].

ამასთან, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში "დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირად" ითვლება და იგულისხმება მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მასთან კანონით გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი (?!).

ამრიგად, საერთოდ სრულიად იგნორირებულია – ფაქტობრივად "არარსებულად" და "მკვდრად" არის ჩათვლილი – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რაც იმითაც დასტურდება, რომ ისევ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად (მუხლი 2. ტერმინთა განმარტება) – დოქტორი არის "მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება" [1, მუხლი 2, პუნქტი "უ"].

მაშასადამე, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ პროფესორის აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებში "დაავიწყდათ" ანდა "შეგნებულად" "მკვდრად" ჩათვალეს – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები, რაც ამ მეცნიერთა აშკარა დისკრიმინაციას, მათი კანონიერი უფლებების უხეშ შელახვას და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს (?!).

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებში არ ფიგურირებს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პირის მიმართ ადგილი აქვს დისკრიმინაციას, რის გამოც მას კანონის თანახმად უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, ფაქტობრივად უმაღლეს სასწავლებლებში მაინც იღებენ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირის დოკუმენტებს კონკურსში მონაწილეობისათვის პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (?!).

აღნიშნული ფაქტი კი წარმოადგენს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირის დისკრიმინაციის კიდევ ერთ გამოხატულებას, რამეთუ ამით მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი კანონსაწინააღმდეგოდ "ჩამოქვეითებული" და "გათანაბრებულია" – დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე და/ან მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთან (?!).

\* \* \*



ზემოაღნიშნული აღმაშფოთებელი – მეცნიერების სფეროსთვის სამარცხვინო და მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა მიმართ შექმნილი დანაშაულებრივი ვითარებიდან გამოსასვლელად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დაუყოვნებლივ შეტანილი იქნეს ცვლილებები "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, რათა კანონმდებლობიდან და ასევე პრაქტიკიდან აღმოიფხვრას მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა კანონსაწინააღმდეგოდ "დაკანონებული" და "გაბატონებული" აღვირახსნილი დისკრიმინაცია (?!).

კერძოდ, პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისა და არჩევისათვის "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებში შეტანილი უნდა იქნეს რადიკალური ცვლილებები, რომლის შედეგად "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი [1, მუხლი 35, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი "ა"] უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

"მუხლი 35. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით კონკურსში დაშვებული და არჩეული უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის და პროფესორის სამეცნიერო წოდების მქონე პირი.

ამის შემდეგ არჩევნებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირს.

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დასაშვებია აგრეთვე დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირის მონაწილეობა და არჩევა, თუ ის აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ სათანადო მოთხოვნებს.

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის – კონკურსზე დაშვებისათვის – აუცილებელია, რომ კონკურსში მონაწილეობის ნებისმიერ მსურველს ჰქონდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, გამოქვეყნებული ჰქონდეს ინდივიდუალურად (თანაავტორობის გარეშე) 150 სამეცნიერო ნაშრომი მაინც, და, მათ შორის, უცხოეთში გამოქვეყნებული ჰქონდეს ინდივიდუალურად – არანაკლებ 50 სამეცნიერო ნაშრომისა.

გარდა ამისა, მას გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ინდივიდუალურად (თანაავტორობის გარეშე) 2 (ორი) მონოგრაფია მაინც, და, მათ შორის, ერთი მონოგრაფია მაინც გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ინდივიდუალურად (თანაავტორობის გარეშე) უცხოურ საერთაშორისო ენაზე.

ამასთან, პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ის პირი, რომელსაც შექმნილი აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე მეცნიერული სიახლეები – პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები, პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები და ა.შ."

რაც შეეხება პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირის უვადოდ არჩევას, რომელიც გათვალისწინებულია "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით [1], აღნიშნული ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

"ბ) უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებზე უფრო მაღალ სტანდარტებს – რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება ნებისმიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რამეთუ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი უვადოდ არჩეული უნდა იქნეს არა რომელიმე კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელში ხანგრძლივი მუშაობისათვის, არამედ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რომელსაც გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ინდივიდუალურად (თანაავტორობის გარეშე) 300 სამეცნიერო ნაშრომი მაინც, და რომელსაც, მათ შორის, უცხოეთში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ინდივიდუალურად – არანაკლებ 100 სამეცნიერო ნაშრომისა.

გარდა ამისა, რომელსაც გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ინდივიდუალურად (თანაავტორობის გარეშე) 3 (სამი) მონოგრაფია მაინც, და რომელსაც, მათ შორის, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს 2 (ორი) მონოგრაფია მაინც ინდივიდუალურად (თანაავტორობის გარეშე) უცხოურ საერთაშორისო ენაზე.

ამასთან, პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება აირჩეს მხოლოდ ის პირი, რომელსაც შექმნილი აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე მეცნიერული სიახლეები – პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებები, პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიები და ა.შ., რომლებიც გამოქვეყნებულია არა მარტო საქართველოში, მათ შორის, საერთაშორისო ენებზე, არამედ აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოებში".

\* \* \*

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ზემოაღნიშნული რადიკალური და ამასთან სამართლიანი ცვლილებების შეტანა – აღკვეთავს მეცნიერებას მიტმასნებული არამეცნიერი "ჩალიჩების" და მათი მხარდამჭერების "თარეშს", რომლებმაც უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფერო ეგრეთ წოდებულ "კორმუშკად" («Кормушка») გადააქციეს, და რომლებიც "ხელმძღვანელობენ" "პრინციპით" – "ეს ქვეყანა ღუმაა, მოთალე და ჭამეო" (!!).

ამრიგად, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ზემოაღნიშნული რადიკალური ცვლილებების შეტანის შედეგად მოხდება ჭეშმარიტ მეცნიერთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა, და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში აღმოფხვრება ის ვითარება, რომელიც ძალაუვნებურად გვახსენებს ძველ ქართულ ანდაზას:

"ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანო" (!!).

\* \* \*

დაბოლოს, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა დისკრიმინაციასთან და ამ პირთა დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირებთან დანაშაულებრივად "გათანაბრებასთან" დაკავშირებით გამოქვეყნებული მაქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროდ მიმაჩნია ჩემი ერთ-ერთი სამეცნიერო ნაშრომიდან კიდევ ერთხელ მოკლედ მოვიტანო იმის მეცნიერული დასაბუთება, რომ სრულიად კანონსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივ ფაქტს წარმოადგენს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა დისკრიმინაცია და ამ პირთა დოქტორის აკადემიური ხარისხის და/ან მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირებთან "გათანაბრება" (!!).

კერძოდ, სამეცნიერო ნაშრომში: "მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის გათანაბრება მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან და/ან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან – კანონსაწინააღმდეგო ქმედება და სამართლებრივი უპიცობაა (!!). ნუთუ განსაკუთრებული სამართლებრივი კულტურა და გონიერება სჭირდება იმაში გარკვევას, რომ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან და/ან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებული არ არის და ვერც იქნება (!)" [4, გვ. 6-7], ვწერდი:

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ, უცხოეთისადმი "ბრმად" მიბაძვის გამო, ყველას დოქტორი და პროფესორი "დაარქვეს", პრინციპულად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ, ისევე, როგორც ადრეც არაერთხელ აღმინიშნია, კიდევ ერთხელ აღვნიშნო შემდეგი:

უდავოა და ცხადზე ცხადია, რომ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან, მაგრამ კანონმდებლობაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ნორმა, რომლითაც მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებული იქნებოდა დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის გათანაბრება დოქტორის აკადემიურ ხარისხთან (და მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან) სამართლებრივად შეუძლებელია (სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ) თუნდაც უკვე იმიტომ, რომ დაუშვებელია კანონისთვის უკუქცევითი ძალის მიცემა, თუ ის ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად:

"კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს" [5, მუხლი 31, პუნქტი 9].

ხოლო “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის (ნორმატიული აქტის უკუძალა) თანახმად:

“1. ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

2. ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს” [6, მუხლი 24].

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის (სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა) თანახმად:

“კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას” [7, მუხლი 6].

“მაშასადამე, ვინმეს მხოლოდ სიზმარში თუ მოელანდება, რომ თითქოს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი – კანონისთვის კანონსაწინააღმდეგოდ “უკუქცევითი ძალის მიცემით”, პირისთვის “ზიანის მოტანით” და “მდგომარეობის გაუარესებით” – გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან და მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან, რამეთუ სინამდვილეში ასეთი “გათანაბრება” სამართლებრივად შეუძლებელი და დაუშვებელია (!).

ამიტომ, ვისაც ზემოაღნიშნული არ ესმის და ვინც ამას არ ითვალისწინებს, მით უფრო, იურისტებს, და, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, თუ ასეთები აღმოჩნდებიან, უნდა აეკრძალოთ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობა, რამეთუ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის კანონსაწინააღმდეგოდ და უზნეოდ – დანაშაულებრივად – “გათანაბრება” დოქტორის აკადემიურ ხარისხთან და მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან შეუძლიათ მხოლოდ გონებადაქვეითებულ – სუსტი ინტელექტის მქონე – პირებს (!)” [4, გვ. 7].

\* \* \*

ზემოთ აღნიშნულ სამეცნიერო ნაშრომში, აგრეთვე ვწერდი შემდეგს:

ვინც სამშობლოს, ხალხის, თავისი სახელმწიფოს და კაცობრიობის მტერი არ არის, ვისთვისაც სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, და, ამასთანავე, ვისაც “მინიმალური” ჭკუა, გონება და სინდისი მაინც გააჩნია, ის მეცნიერებას “მასხარად” არ აიგდებს, რამეთუ ასეთი ქმედებით ნებისმიერი ადამიანი თავის თავს ამხელს, როგორც ერის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოღალატე, როგორც განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, როგორც კრიმინალი, რომელიც სამშობლოს, ხალხის, თავისი სახელმწიფოს და კაცობრიობის დაუძინებელი მტერია.

ადამიანის – ხალხის – ინტერესებიდან გამომდინარე, მეცნიერების პრობლემებთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია, რომ, *ისევე, როგორც ადრეც მრავალჯერ აღმინიშნია*, კიდევ ერთხელ აღვნიშნო შემდეგი:

“ისევე, როგორც  
ადამიანის მსგავსი მაიმუნი –  
ადამიანი არ არის,  
მეცნიერის მსგავსი ადამიანი –  
მეცნიერი არ არის” [2, გვ. 54].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ადამიანს, რომელიც ჭეშმარიტი მეცნიერი არ არის, *მაგრამ რომელსაც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით მეცნიერებაში გარკვეული უფლებები გააჩნია*, იმდენი გონიერება და სინდისი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ არამეცნიერი – ჭეშმარიტ მეცნიერთან არ ”გათანაბროს”, რამეთუ, ჩემი ღრმა რწმენით:

ისევე, როგორც ქათმის წიწილა ან კურდღლის ბაჭია –  
თავისი ფიზიკური ძალით ვერ შეედრება ვეფხვს,  
არამეცნიერი, თუნდაც მეცნიერის მსგავსი ადამიანი –  
ვერ შეედრება და ვერ გაუთანაბრდება  
ჭეშმარიტ მეცნიერს (!!).

აქედან გამომდინარე, სრულიად გაუგებარი და წარმოუდგენელია, თუ რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, როდესაც, *ხატოვნად რომ ვთქვათ*, ”ქათმის წიწილებს” – ”ვეფხვებად” ”აცხადებენ”, და როდესაც *ჭეშმარიტ მეცნიერს რატომღაც ”ვერ ამჩნევენ”* (ანდა ”*ვითომ ვერ ამჩნევენ*”), ხოლო არამეცნიერს – ”სთავაზობენ” ჭეშმარიტი მეცნიერის (პროფესორის) თანამდებობას და ამ თანამდებობაზე ”ირჩევენ”, ან, *უფრო ზუსტად თუ ვიტყვით*, ”*არჩევის ”ფორმას” აძლევენ და ფაქტობრივად ”ნიშნავენ”* კიდევ, ანუ ”*ირჩევენ*” ან ”*ნიშნავენ*” პროფესორის თანამდებობაზე – იმ თანამდებობაზე, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტმა მეცნიერმა შეიძლება დაიკავოს (!!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (!!) [4, გვ. 3,4].

\* \* \*

ყოველივე ზემოთ განხილულით უდავოდ დასტურდება, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის კანონის მოთხოვნებში მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის არარსებობა და ფაქტობრივად მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა კანონსაწინააღმდეგოდ ”გათანაბრება” დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებთან და მეცნიერებათა კანდიდატებთან – დანაშაულებრივი ქმედებაა (!!).

ამასთან, არსებული – მოქმედი – კანონმდებლობის ”საფუძველზე” უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში შექმნილი ”განუკითხაობა”, ლოგიკურად ბაღებს შემდეგ კითხვას:

ნუთუ სახელმწიფოს კანონმდებლები (მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლება) და განსაკუთრებით იურისტები (არა მარტო სახელმწიფო ხელისუფლებაში, არამედ აგრეთვე საერთოდ) ”ვერ აცნობიერებენ”, რომ ადგილი აქვს დანაშაულებრივად ”დაკანონებულ” დისკრიმინაციულ ქმედებას, რითაც აშკარად ილახება მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა კანონიერი უფლებები (?!).

სწორედ არსებული კანონმდებლობით განპირობებული ”განუკითხაობა”, რომელსაც ადგილი აქვს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ქმნის იმის რეალურ შესაძლებლობებს, რომ ამ სფეროში სამარცხვინო და კრიმინალურ ქმედებებს ჰქონდეს ადგილი – თანაც არა მარტო თანამდებობის უსინდისო ”მაძიებლებისგან”, ”არამედ, უფრო მეტად, მისი მხარდამჭერი პირების მხრიდან, რაც სამშობლოს და კაცობრიობის ღალატის ტოლფასია, რამეთუ, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ძირს უთხრის სახელმწიფო უსაფრთხოებას (?!)” [4, გვ. 5].

გამსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერის შეფასების მთავარი და განმსაზღვრელი კრიტერიუმი, *ჩემი ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული რწმენით*, უნდა იყოს მხოლოდ მის მიერ შექმნილი მეცნიერული სიახლეები, რომლებიც იმსახურებს იყოს კვალიფიცირებული, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი მეცნიერების განვითარებაში.

“ჭეშმარიტ მეცნიერთა პრობლემასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის უდავო ფაქტიც, რომ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მფლობელთაგან ჭეშმარიტი მეცნიერები – *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებების და/ან პრინციპულად ახალი მეცნიერული თეორიების და ა.შ. შემქმნელები* – ალბათ რეალურად არიან 1%-ზე ნაკლები, და, შესაძლოა, მხოლოდ 0,1%-ზე ნაკლებიც კი (?!).

ამიტომ, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მფლობელთაგან მხოლოდ ეს იშვიათი (უიშვიათესი) გამონაკლისნი – *ჭეშმარიტი მეცნიერები* – შეიძლება იყვნენ პროფესორები და მხოლოდ მათ უნდა მიეცეთ უფლება, რომ არჩეული იქნენ პროფესორის თანამდებობაზე, რომ შექმნან და უხელმძღვანელონ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს, და მხოლოდ მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს, ნაცვლად იმისა, რომ „შინაურ“ და/ან “გავლენიან“ არამეცნიერ პირებს, ანდა “გავლენიანი“ პირების არამეცნიერ “ახლობლებს” და ა.შ., კანფერენტებით ურიგებდნენ პროფესორის თანამდებობებს და დოქტორანტებს” [4, გვ. 9].

\* \* \*

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ, *სამწუხაროდ*, მეცნიერების სფეროს ბევრი წარმომადგენელი ვერ აცნობიერებს, რომ ის ჭეშმარიტი მეცნიერი არ არის, და რომ ის მხოლოდ მუშაკია მეცნიერებაში (?!).

ამასთანავე, ის ფაქტი, რომ მეცნიერების სფეროს ბევრ წარმომადგენელს, *რომლებიც ჭეშმარიტი მეცნიერები არ არიან*, სრულიად დაუმსახურებელი დიდი პრეტენზიები აქვთ მეცნიერებაში, წარმოადგენს, *ერთი მხრივ*, უდავო თავხედობას მათი მხრიდან, ხოლო, *მეორე მხრივ*, წარმოადგენს იმის მაჩვენებელს, რომ აღნიშნული ფაქტობრივად არამეცნიერი პირები დაავადებულნი არიან განუკურნავი გონებრივი – “ინტელექტუალური” – ავადმყოფობით, რამეთუ როდესაც ავადმყოფი ვერ აცნობიერებს თავის ავადმყოფობას, ის ამ ავადმყოფობას ვერ მოერევა – ვერ დაძლევს (?!).

\* \* \*

“ჭეშმარიტ მეცნიერთა პრობლემასთან დაკავშირებით, – *რაზედაც მე აღრე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში ვწერდი* [4, გვ. 9-10] – განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე შემდეგი ფაქტი:

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჭეშმარიტი მეცნიერები არიან მხოლოდ ძალიან იშვიათი გამონაკლისები, მაგრამ “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ყველა ითვლება “მეცნიერად”, ვისაც მეცნიერების სფეროში რაიმე “სამეცნიერო” თანამდებობა უკავია, რაც ყოველად გაუმართლებელია (?!).

კერძოდ, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “წ<sup>5</sup>”) პუნქტით მოცემულია მეცნიერის შემდეგი განმარტება:

“წ<sup>5</sup>) მეცნიერი – დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში და უხელმძღვანელოს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;” [1, მუხლი 2, პუნქტი “წ<sup>5</sup>)”].

მოცემულ სამართლებრივ ნორმასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღვნიშნავ შემდეგს:

სრულიად უსაფუძვლო სამართლებრივ ნორმად და სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია, რომ მეცნიერების სფეროში დასაქმებული ყველა “მუშაკი”, რომელიც თითქოსდა ახორციელებს “სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას” და ა.შ., იწოდებოდეს – მეცნიერად (?!).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “წ<sup>5</sup>)” პუნქტი, *ჩემი ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული რწმენით*, რადიკალურად უნდა შეიცვალოს და უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“წ<sup>5</sup>) მეცნიერი – საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე პრინციპულად ახალი იდეების, ანუ ახალი მეცნიერული მიმართულებების, ახალი მეცნიერული თეორიების და ა.შ. შემქმნელი”.

ამ კანონის მე-2 მუხლს “წ<sup>5</sup>)” პუნქტის შემდეგ კი უნდა დაემატოს “წ<sup>5+</sup>)” პუნქტი და ის უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“წ<sup>5+</sup>) მეცნიერების მუშაკი – დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში და უხელმძღვანელოს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას; გარდა უშუალოდ მეცნიერების მუშაკებისა, მეცნიერების სფეროს მუშაკებს, მიეკუთვნებიან აგრეთვე ამ სფეროს სხვა – დამხმარე მუშაკები;”.

ამასთანავე, გარდა ჩემს მიერ შემოთავაზებული ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, მეცნიერებასთან დაკავშირებით აუცილებლად მიმაჩნია აგრეთვე “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 37<sup>1</sup>-ე მუხლში ცვლილებების შეტანა:

კერძოდ, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 37<sup>1</sup>-ე მუხლი (უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი) ამჟამად ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

“1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი შეიძლება შედგებოდეს მეცნიერებისა და პოსტდოქტორანტებისაგან.

2. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი” [1, მუხლი 37<sup>1</sup>].

ამასთან, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 37<sup>1</sup>-ე მუხლი (უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალი), ჩემი ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული რწმენით, ასევე უნდა შეიცვალოს და უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი შეიძლება შედგებოდეს მეცნიერების, მეცნიერების მუშაკებისა და პოსტდოქტორანტებისაგან.

2. მეცნიერები და/ან მეცნიერების მუშაკები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერი თანამშრომელი”.

ამრიგად, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში ჩემს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს” [4, გვ. 9-10].

\* \* \*



სწორედ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებულ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ზემოთ განხილულ და სხვა მწვავე პრობლემებთან დაკავშირებით, როდესაც “განუკითხაობას” აქვს ადგილი – როდესაც არამეცნიერს (“მეცნიერის მსგავს ადამიანს”) “ჭეშმარიტ მეცნიერად” “აცხადებენ”, ხოლო “ჭეშმარიტ მეცნიერს” ვითომდა “ვერ ამჩნევენ”, როდესაც ნობელის პრემიის ლაურეატიც კი შესაძლოა გახდეს პირი, რომელსაც მეცნიერებაში პრინციპულად ახალი არაფერი არ შეუქმნია, მე ჩემი ერთ-ერთი მონოგრაფია დავიწყე შემდეგი მიმართვით:

**“საზოგადოებრივ მმცნიერებაში  
მსოფლიო დონეზე აღიარებულ  
ლიდერებს და ლიდერობის  
პრაქტიკის მქონე პირებს!!!**

ვიწვევ მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილ, აღიარებულ და სახელგანთქმულ მეცნიერებს, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატებს, ინტელექტუალურ “ბრძოლაში” მონაწილეობისათვის – ვიწვევ მათ მიღონ მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში მეცნიერულ შემოქმედებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში (სოციალურ-ფილოსოფიურ, თეორიულ-პოლიტიკურ, პოლიტიკურ-ეკონომიურ, იურიდიულ და სახელმწიფო მართვის მეცნიერებებში), და მზად ვარ ამ ჩემპიონატის ფინალში გასულ მეცნიერებს – თანაც ყველას ერთდროულად – “შევერკინო”, მაგრამ არა ციტირების ინდექსით (?!), რამეთუ ეს ჭეშმარიტი მეცნიერული დონის მაჩვენებელი სულაც არ არის, არა ციფრებში გამოხატული რაღაცა “ანალიზებით”, რაც აგრეთვე მეცნიერული აღმოჩენების გამოხატველი ვერ იქნება, არა იურიდიულ კანონებზე და საერთოდ სხვების ნაშრომებზე გაკეთებული კომენტარებით, არა გამოქვეყნებული შრომების რაოდენობით, არა სამეცნიერო ტიტულებით, არა მიღებული პრემიებით და ჯილდოებით, არამედ ჩემს მიერ შექმნილი მსოფლიო მნიშვნელობის საკუთარი პრინციპულად ახალი მეცნიერული იდეებით – რეკოლუციურად ახალი მეცნიერული მიმართულებებით და რეკოლუციურად ახალი მეცნიერული თეორიებით, რათა გაირკვეს – ვინ ვინ არის მეცნიერებაში, რასაც პრინციპული მნიშვნელობა ექნება მეცნიერული და სოციალური პროგრესისათვის პლანეტარული მასშტაბით” [8, გვ. 7].

ალფრედ კურატაშვილი

## ლიტერატურა

1 საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ”. მიღებულია 2004 წლის 21 დეკემბერს. №688-რს.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=85>

2. კურატაშვილი ალფრედ. მეცნიერული შემოქმედების პროცესში ჩარევა – ანტიკონსტიტუციური ქმედება და სისხლის სამართლის დანაშაულია. *საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები* (21-22.12.2009). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2009. – გვ. 42-61.

3. Кураташвили Альфред А. Революционные пути и механизмы преодоления проблем научного творчества. Актуальные проблемы научного творчества. *Материалы Международной научной конференции* (11-12.03.2009). Тбилиси: Международное изд-во «Прогресс», 2009. – с. 11-32.

4. კურატაშვილი ალფრედ. მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის გათანაბრება მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან და/ან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან – კანონსაწინააღმდეგო ქმედება და სამართლებრივი უვიცობაა (?!). *ნუთუ განსაკუთრებული სამართლებრივი კულტურა და გონიერება სჭირდება იმაში გარკვევას, რომ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხთან და/ან დოქტორის აკადემიურ ხარისხთან – მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებული არ არის და ვერც იქნება (?!).* საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. XXVIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (12.10.2017). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2017. – გვ. 3-20.

5. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. №786-რს.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

6. საქართველოს ორგანული კანონი “ნორმატიული აქტების შესახებ”. მიღებულია 2009 წლის 22 ოქტომბერს.

№1876–ის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>

7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს. №786-III.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=111>

8. კურატაშვილი ალფრედ. ჰუმანოსოციალური სახელმწიფოს და მისი სამართლებრივი სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების თეორიული საფუძვლები. *სახელმწიფო მართვის რევოლუციურად ახალი – სოციალურად გამიზნული ფილოსოფიური, სამართლებრივი და პოლიტიკურ-ეკონომიური მეცნიერული თეორიები* (მონოგრაფია ქართულ ენაზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2017. – 432 გვ.

შაკ 1+32+33+34+35

**ალფრედ კურატაშვილი (თბილისი, საქართველო)**

ეკონომიკურ, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებებში, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი, პოლიტიკური მენეჯმენტის საერთაშორისო აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი და იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის დამაარსებელი და პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აშშ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “პროგრესი“-ს და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ “იურისპრუდენციის პრობლემები“-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტა ფედერაციის წევრი

**მეცნიერთა**

**ასაკობრივი დისკრიმინაცია –  
კანონსაწინააღმდეგოდ**

**”დაკანონებული” უკანონობა და  
ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული  
სამართაშორისო დანაშაულია (!?)**

**უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში  
უნდა მოიხსნას და აიკრძალოს  
მეცნიერთა კონკურსებში მონაწილეობისათვის  
დანაშაულებრივად ”დაკანონებული”  
ასაკობრივი შეზღუდვა – ასაკობრივი დისკრიმინაცია,  
რომლითაც უგულბელყოფილია  
კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა, და  
რითაც ილახება მეცნიერთა კანონიერი უფლებები (!?)**

შეუძლებელი და სრულიად წარმოუდგენელია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს (*მით უფრო, იურისტებს, და არა მარტო მათ, არამედ აგრეთვე ნებისმიერ იურისტს და საერთოდ ნორმალურად მოაზროვნე ნებისმიერ პიროვნებას*) არ ესმოდეთ და ვერ აცნობიერებდნენ, რომ დისკრიმინაცია, და, *მათ შორის*, მეცნიერთა ასაკობრივი დისკრიმინაცია – კანონსაწინააღმდეგოდ ”დაკანონებული” უკანონობა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაულია (!?).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოდ უნდა მოიხსნას და აიკრძალოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერ კონკურსებში მეცნიერთა მონაწილეობისათვის დანაშაულებრივად ”დაკანონებული” ასაკობრივი შეზღუდვა – ასაკობრივი დისკრიმინაცია, რომლითაც უგულბელყოფილია კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობა, და რითაც უხეშად ილახება და ითელება ღვაწლმოსილ მეცნიერთა კანონიერი უფლებები (!!).

უფრო მეტიც, დისკრიმინაცია საერთოდ, და კერძოდ, დისკრიმინაცია უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში, წარმოადგენს მეცნიერთა მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებას – წარმოადგენს მეცნიერთა მიმართ მოწყობილ მორალურ-ფსიქოლოგიურ გენოციდს და მათ მიმართ ეკონომიკური ფაშიზმის გამოვლინების უდავო ფაქტს (?!).

ამასთან, მეცნიერთა მიმართ განხორციელებული ასაკობრივი დისკრიმინაცია წარმოადგენს კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებას – წარმოადგენს აღმაშფოთებელ დანაშაულებრივ ქმედებას უშუალოდ ამ დისკრიმინაციის კანონსაწინააღმდეგოდ "დამკანონებელ" და განმახორციელებელ თანამდებობის პირთა მხრიდან (?!).

ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერული სიახლეების შემქმნელ ღვაწლმოსილ ჭეშმარიტ მეცნიერებს, რომლებიც ასაკის მიუხედავად სათანადო ფიზიკურ და ინტელექტუალურ ფორმაში იმყოფებიან, კონკურსების შედეგად "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად [1, მუხლი 35, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი "ბ"] აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსების შედეგად ირჩევდნენ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე უვადოდ, რათა მომავალში ისინი – *ჭეშმარიტი მეცნიერები* – მეცნიერებას "მიტმასნებული" "ყვავ-ყორნების" "საჯიჯგენი" არ გახდნენ, პირიქით, ზოგ შემთხვევაში მეცნიერთა ასაკობრივი დისკრიმინაციის შედეგად, ამ მეცნიერებს პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლებასაც კი დანაშაულებრივად უზღუდავენ ან საერთოდ უკრძალავენ (?!).

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

\* \* \*

მეცნიერთა ასაკობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონის წინაშე ყოველი ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფის აუცილებლობა და ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა, როგორც ცნობილია, ასახულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ისე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში [2, მუხლი 7; 3, მუხლი 14; 4, მუხლი 11; 5, მუხლი 19; 6, მუხლი 24; 7, მუხლი 3; 8, მუხლი 1; და სხვა].

კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად:

"ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ.

ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან" [2, მუხლი 7].

ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის) მე-14 მუხლის ("დისკრიმინაციის აკრძალვა") თანახმად:

"ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად" [3, მუხლი 14].

რაც შეეხება სახელმწიფოთა კონსტიტუციებს, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის ("თანასწორობის უფლება") თანახმად:

"1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით" [4, მუხლი 11, პუნქტი პირველი].

*რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად:*

"1. ყველა თანასწორია კანონის და სასამართლოების წინაშე.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობას სქესის, რასის, ეროვნების, ენის, წარმოშობის, ქონებისა და ოფიციალური სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მრწამსის, საზოგადოებრივ გაერთიანებებში გაწევრიანებისა და სხვა გარემოებების მიუხედავად" [5, მუხლი 19, პუნქტები: პირველი და მეორე].

*უკრაინის კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად:*

"მოქალაქეებს აქვთ თანაბარი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები და თანაბარი არიან კანონის წინაშე.

არ შეიძლება არსებობდეს შეღავათები ან შეზღუდვები რასის, კანის ფერის, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა რწმენის, სქესის, ეთნიკური და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ენობრივი ან სხვა მახასიათებლების საფუძველზე" [6, მუხლი 24].

გარდა ამისა, *გერმანიის კონსტიტუციის მე-3 მუხლის ("ძირითადი უფლებები")* თანახმად:

"(1) ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე" [7, მუხლი 3, პუნქტი პირველი].

*საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი მუხლის თანახმად:*

"საფრანგეთი... უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე..." [8, მუხლი 1].

\* \* \*

ზემოთ მოყვანილი იურიდიული ნორმები საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან და სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანის დისკრიმინაცია, და, *მათ შორის*, მეცნიერის (მეცნიერთა) ასაკობრივი დისკრიმინაცია წარმოადგენს მეცნიერთა მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებას – წარმოადგენს მეცნიერთა მიმართ მოწყობილ მორალურ-ფსიქოლოგიურ გენოციდს, წარმოადგენს მეცნიერთა მიმართ განხორციელებული ეკონომიკური ფაშიზმის გამოვლინებას, წარმოადგენს ადამიანურობის წინააღმდეგ განხორციელებულ საერთაშორისო დანაშაულს (?!).

\* \* \*

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა (*და არა მარტო მეცნიერთა*) მიმართ კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – ”დაკანონებულ” დისკრიმინაციასთან და მისი აღმოფხვრის აუცილებლობასთან დაკავშირებით, ჩემს მიერ ჯერ კიდევ მრავალი წლების წინ არაერთი სამართლებრივად დასაბუთებული სამეცნიერო ნაშრომი იქნა გამოქვეყნებული [9; 10; 11, გვ. 26-36; 12, გვ. 31-34; და სხვა], მაგრამ, *მიუხედავად ამისა*, არც სახელმწიფო ხელისუფლება, არც ოპოზიცია, არც სახალხო დამცველი და არც განსაკუთრებით გააქტიურებული ეგრეთ წოდებული ”მესამე სექტორი” – არასამთავრობო ორგანიზაციები რატომღაც არ დაინტერესებულან მეცნიერთა დისკრიმინაციის არსებული პრობლემებით, რომლებიც სულ უფრო მწვავედასა (?!).

თუმცა, ყველა ზემოაღნიშნული სტრუქტურა, და, *მათ შორის*, განსაკუთრებით სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები მედგრად იბრძვიან სისხლის სამართლის დამნაშავე პირთა ინტერესების დასაცავად, *რაც, ცხადია, აგრეთვე უდავოდ მნიშვნელოვანია, რამეთუ კრიმინალებსაც აქვთ თავისი უფლებები*, მაგრამ ნუთუ უდანაშაულო პირთა, *კერძოდ კი*, უდანაშაულო მეცნიერთა კანონიერი უფლებების დაცვა და მათ მიმართ კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – ”დაკანონებული” დისკრიმინაციული ქმედებების აღმოფხვრის აუცილებლობა ყურადღებას არ იმსახურებს?!

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (?!).

მეტად საეჭვოა და ძნელად დასაჯერებელია, რომ თითქოს ვერ აცნობიერებენ სახელმწიფო ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლები, სახალხო დამცველი (*რომელიც არა მხოლოდ კრიმინალების, არამედ, უპირველეს ყოვლისა უდანაშაულო ადამიანების კანონიერ უფლებებს და ინტერესებს უნდა იცავდეს*) და აგრეთვე განსაკუთრებით გააქტიურებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომ აღვილი აქვს უდანაშაულო ადამიანების დისკრიმინაციას, რაც ადამიანურობის წინააღმდეგ განხორციელებულ საერთაშორისო დანაშაულს წარმოადგენს (?!).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იქნება შთაბეჭდილება, რომ მათ საერთოდ არ აინტერესებთ ეს პრობლემები და ამიტომ არ ღებულობენ ზომებს მეცნიერთა მიმართ კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – ”დაკანონებული” დისკრიმინაციული ქმედებების აღმოსაფხვრელად (?!).

\* \* \*

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეთა კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – ”დაკანონებული” ასაკობრივი შეზღუდვის ”სამართლებრივ” ”საფუძვლებს”, ამის უდავო ფაქტს წარმოადგენს ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში დაფიქსირებული ”სამართლებრივი ნორმების” არსებობა [1, მუხლი 36, პუნქტი 2 და პუნქტი 3], რომლებითაც კანონსაწინააღმდეგოდ არის ”დაკანონებული” მეცნიერთა ასაკობრივი დისკრიმინაცია, რითაც უხეშად ირღვევა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული პრინციპი და ილაზება მეცნიერის – როგორც ადამიანის – კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლებები და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები.

კერძოდ, ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად:

”მუხლი 36. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები

1. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

2. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტისგან გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით” [1, მუხლი 36, პუნქტი 2 და პუნქტი 3].

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით კანონსაწინააღმდეგოდ ”დაკანონებული” მეცნიერთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, სახელმწიფო ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და სახელმწიფოთა კონსტიტუციებით გათვალისწინებული კანონის წინაშე ყოველი ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფა და მეცნიერთა ასაკობრივი დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რის გამოც ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლიდან დაუყოვნებლივ ამოღებული უნდა იქნეს – უნდა გაუქმდეს – მეორე და მესამე პუნქტები.

”უმალესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში ჩემს მიერ შემოთავაზებული და კატეგორიულად მოთხოვნილი ცვლილებების განხორციელების შედეგად უდავოდ აღიკვეთება და აღმოიფხვრება მეცნიერთა მიმართ კანონსაწინააღმდეგოდ – დანაშაულებრივად – ”დაკანონებული” დისკრიმინაციული ქმედებების ”სამართლებრივი” ”საფუძვლები”.

\* \* \*

